ბელა მოსია

DOI: https://doi.org/10.52340/zssu.2022.14.06

კონსპირაციული (შეთქმულების) თეორიები ქართულ რეალობაში

აბსტრაქტი: *კონსპირაციები დღეს მსოფლიოსთვის ნაცნობი და მის ყოველდღიურობაში საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. ისინი ადამიანების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდნენ და ისეთი ორგანიზაციების ხელში გადავიდნენ როგორებიცაა: მედია საშუალებები, სოციალური ქსელები, პოლიტიკური დაჯგუფებები, დიდი ბიზნეს და სამეწარმეო კომპანიები. მათი სამიზნე კი გახდნენ წარმატებული და ცნობილი ადამიანები, პოლიტიკოსები, კინოსა და შოუბიზნესის წარმომადგენლები, მედიცინისა და ფარმაცევტული ორგანიზაციის ხელმძღვანელები, ხოლო მათი გავლენის ქვეშ კი ადვილად ექცევიან ადამიანთა ჯგუფები. განსაკუთრებულია მათი გავლენა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოსახლეობაზე და განსაკუთრებით აქტუალური და თვალშისაცემი გახდა მათი როლი და გავლენები კოვიდ-19-ის ეპოქაში. წინამდებარე ნაშრომი ქართული რეალობის შესწავლის მიზნით გამოირჩევა და საინტერესო დეტალებს წარმოაჩენს სხვადასხვა თეორიების სიუჟეტების მდგრადობისა და გავრცელების მასშტაბების მიზნით.*

ამოსავალი სიტყვები: *კონსპირაცია, ფოლკლორი, ჟანრი*

Bela Mosia

Conspiracy Theories in Contemporary Georgia

Abstract: *Conspiracy theories are well-known and quite common throughout the world nowadays. They have become an integral part of people's lives and been spread by various organizations such as: media outlets, social networks, political groups, big business, and entrepreneurial companies. Successful and famous people; politicians; film and business representatives; heads of medicine and pharmaceutical organizations have become their target, and many people are easily influenced by them. The impact of these conspiracy theories on the population of post-Soviet countries is powerful and their role has become increasingly relevant and visible*

during the Covid-19 pandemic. This paper is notable in its purpose to study the current situation in Georgia regarding conspiracy theories by presenting interesting details which outline their sustainability and spread.

***Keywords**: Conspiracies, Folklore, Genres*

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სტატიათა ციკლის მეორე ნაწილს, რომელიც შეთქმულების თეორიებს ეძღვნება. აღნიშნულთან დაკავშირებულ პირველ გამოცემაში ჩვენ ფართოდ ვმსჯელობთ შეთქმულების თეორიებზე, მიმოვიხილავთ კვლევის ისტორიას, საინტერესოდ წარმოვაჩენთ კონსპირაციული თეორიების ფოლკლორთან თვისობრივ მსგავსებას. პირველი სტატია უმეტესად მსოფლიოში გავრცელებული შეთქმულების თეორიებს წარმოაჩენდა და მათ ჟანრობრივ თავისებურებებს ეხებოდა. განიხილავდა მათ სხვადასხვა საფუძვლებს, როგორებიცაა: ფსიქოლოგიური, ფოლკლორული, მითოსური, ლიტერატურული, რელიგიური თუ ისტორიული. ამჟამად გადავწყვიტეთ მსოფლიო კონსპირაციების გადმოსახედიდან ქართული რეალობა განგვეხილა. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ მსოფლიოში ცნობილი კონსპირაციული თეორიების რამდენიმე ნიმუშს. ვარჩევთ იმ თეორიებს, რომლებიც ერისთვის ისტორიულად იყო დამახასიათებელი, ვარკვევთ ამა თუ იმ შეთქმულების თეორიის ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ თუ ისტორიულ საფუძვლებს. განსაკუთრებით ვაქცევთ ყურადღებას რამდენად უახლოვდება ქართული რეალობა მსოფლიო პროცესებს და აქვს თუ არა მას ერისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოვლენის ტენდენცია. იმდენად რამდენადაც შეთქმულების თეორიების არეალი ძირითადად სოციალური ქსელებია (facebook, linkedIn, Instagram) და სატელევიზიო ე.წ fake news-ები, ჩვენც ისინი გამოვიყენეთ როგორც მასალა. მსგავსი პლატფორმები აადვილებს სიუჟეტების დაკვირვებას ერთ სივრცეში. ხშირია შემთხვევა, როდესაც ეს ორი ერთმანეთს განაპირობებს, მედია საშუალებით გავრცელებული ინფორმაციები ხშირად კოლექტივის შეთქმულების თეორიების საფუძველი ხდება და პირიქითაც, მედია საშუალებები ცდილობენ გასცენ პასუხი ჯგუფებს სხვადასხვა შეთქმულების თეორიების შესახებ. ყურადღება მივაქციეთ პოსტებს, კომენტარებსა და ცალკეულ ჯგუფებს, რომლებიც სხვადასხვა შეთქმულების თეორიების გარშემო იქმნებოდა. კვლევისთვის მივმართეთ გამოკითხვის მეთოდს. შევქმენით სპეციალური კითხვარი.

გამოკითხვები მოიცავდა საკითხებს კონკრეტულ დროსა და სივრცეში, ისე დიდი უფრო მდგრადი სიუჟეტის მქონე საკითხებს. გამოკითხვა იყო ანონიმური, ჩამოთვლილი იყო მსოფლიოში გავრცელებული სხვადასხვა შეთქმულების თეორიები და რესპონდენტებს ჰქონდათ საშუალება თავისუფლად დაემატებათ საკუთარი გამოცდილებისამებრ თეორიები. საკმაოდ გამოიკითხა სამი ათასამდე რესპონდენტი, გამოკითხვა ტარდებოდა სხვადასხვა საშუალებით, უმეტესად ელექტრონული რესურსების გამოყენებით. გამოკითხვის შედეგები საინტერესოდ სხვადასხვა კონსპირაციული თეორიების სიუჟეტების მდგრადობას, გავრცელების არეალის მასშტაბებსა და გამოკითხულთა ასაკობრივ ჯგუფებში სხვაობებს.

კონსპირაციულ თეორიებს იცნობს მთელი მსოფლიო, საკმაოდ კარგადაა შესწავლილი მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების ფარგლებში გავრცელებული კონსპირაციული თეორიები. ყველა ქვეყანას თავისი ჭორი და კონსპირაცია ახასიათებს. ძალიან რთულია გამოკითხვის ჩატარება სხვადასხვა კონსპირაციების შესახებ მოსახლეობაში, გამომდინარე იქიდან, რომ ეს ხშირად იწვევს არაკომფორტულ შეგრძნებას, რამდენად კომფორტის ზონაა ადამიანებისთვის კონსპირაციული თეორიები, იმდენად არაკომფორტულია მათზე ხმამაღლა და საჯაროდ საუბარი მათთვის. გამოკითხვებში მონაწილეობა სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული მიზეზების გამო ფერხდება. მათ შორისაა: რეჟიმის პირობებში შიშის გამო, ტექნოლოგიებისა და მაღალი ინტელექტის ეპოქაში კომპლექსების, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში პირადი მოსაზრებების სხვებისთვის არ გაზიარებისა და სხვადასხვა არა ერთი მიზეზის გამო ვერ ხერხდება. თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში მსგავსი ტიპის გამოკითხვებში მონაწილეობა საინტერესოცაა და საკმაოდ ღიაა მოსახლეობა მსგავსი ტიპის კვლევაში მონაწილეობისთვის.

სანამ ქართლი რეალობის შესახებ ფართოდ მსჯელობას დავიწყებდეთ, მიმოვიხილავთ როგორია დამოკიდებულება სხვადასხვა ქვეყანაში კონსპირაციული თეორიებისადმი. ყველა ქვეყანას თავისი თეორია აქვს.

Canada has its own Roswell (see Chapter 7), called Shag Harbor. კანადას აქვს თავისი *როზველი*, ადგილი სადაც ნახეს პირველად ამოუცნობი მფრინავი თეფში UFO.

Israel has its own Kennedy assassination (see Chapter 5) in the killing of Prime Minister Yitzhak Rabin. ისრაელს აქვს თავისი თეორია კენედის მკვლელობიდან დაწყებული ისრაელის პრემიერ მინისტრ იცხაკ რაბინის მკვლელობამდე.

The British believe that everyone from Princess Diana to UN weapons inspector David Kelly was murdered by the government. ბრიტანელებს სჯერათ, რომ ყველა, პრინცესა დიანადან დაწყებული გაეროს იარაღის ინსპექტორ დევიდ კელით დასრულებული, მთავრობამ მოკლა.

The Italians have their own Bilderbergers (see Chapter 15) in their Club of Rome. იტალიელებს ჰყავთ თავიანთი *ბილდერბერგერები*[1] რომის კლუბში.

The French believe that the Freemasons (see Chapter 9) are behind everything. ფრანგებს სწამთ, რომ მასონები არიან ყველაფრის უკან.

Throughout Central Asia and in parts of South America it is commonly believed that children are stolen from orphanages to harvest their internal organs for sale to the highest bidders in a bizarre medical “black market.” Variations of the tale in India claim “thousands” of stolen human kidneys are shipped each year to rich patients in the Middle East. ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ ამერიკის ნაწილებში ჩვეულებრივ ითვლება, რომ ბავშვებს იტაცებენ მათი შინაგანი ორგანოებით „შავ ბაზარზე“ ვაჭრობისთვის. ამ ზღაპრის ვარიანტებია გავრცელებული ინდოეთში, რომ „ათასობით“ ადამიანისგან მოპარული თირკმელი იგზავნება ყოველწლიურად სამხრეთ აღმოსავლეთის მდიდარი პაციენტებისთვის.

In some Islamic nations, conspiracy theories about Jews poisoning kids’ bubble gum or tainting vaccines get printed on the front page of major metropolitan newspapers (see Chapter 6). უმეტეს მაჰმადიან ერებში, კონსპირაციული თეორიები, რომ ებრაელები წამლავენ ბავშვებს საღეჭი რეზინით ან ვაქცინებით, იბეჭდება წამყვანი გაზეთების პირველივე გვერდებზე. (Christopher Hodapp, Alice Von Kannon 2008. Pg. 38). აღნიშნული

---

[1] ასე იწოდებოდნენ სასტუმრო ბილდერბერგში (ნიდერლანდები) კონფერენციაზე შეკრებილი ევროპელი და ჩრდილოეთ ამერიკელი პოლიტიკური ლიდერები, ექსპერტები, აკადემიური საზოგადოება (დაახლოებით 120-150 მონაწილე), რომელთაც უნდა გადაეწყვიტათ თავისუფალი ვაჭრობის გლობალური ასპექტები, რომ თავიდან აერიდებინათ ახალი მსოფლიო ომი. სასტუმროს სახელიდან გამომდინარე დაერქვა სახელი ბილდელბერგის საბჭო და ბილდელბერგელები მონაწილეებს.

კონსპირაციული თეორიები დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოებების მახასიათებლად მიიჩნევა. ინგლისელი მწერალი კრისტოფერ ერიკ *ჰიტჩენსი* მიიჩნევდა, რომ „კონსპირაციული თეორიები დემოკრატიის გამონაბოლქვია“ და ეს ფრაზა საკმაოდ იყო გაზიარებული მაღალ წრეებში.

ვრცელი მიმოხილვის მერე წარმოვადგენთ საკვლევ კითხვებს, რომლებიც გვიადვილებს კვლევის წარმართვას. როგორია ამ მხრივ მდგომარეობა საქართველოში და როგორ შეიძლება მსგავსი თეორიები ისტორიულ, თანადროულ და მენტალურ ჭრილში განვიხილოთ? ხომ არ ცვლის რამეს პატარა ქვეყნის გეოგრაფიული არეალი კონსპირაციების გავრცელების ან თუნდაც მდგრადობის თვალსაზრისით? სავარაუდოდ, ქვეყნის მასშტაბები კონსპირაციის გავრცელების არეალსა და მის მდგრადობაზე ახდენს გავლენას. როგორია ისტორიული რეალობა? ეს და სხვა კითხვებზე ვეცდებით გავცეთ პასუხები ქართულ რეალობაზე დაკვირვებით.

სანამ კორონა ვირუსის გარშემო გავრცელებულ სხვადასხვა კონსპირაციულ თეორიებს განვიხილავდეთ, რამდენიმე ისტორიულ მოვლენასა და სხვადასხვა კონსპირაციულ თეორიებს განვიხილავთ როგორც პოლიტიკური, რელიგიური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

ერთ-ერთი გავრცელებული ვერსია კონსპირაციული თეორიებისა არის გარდაცვლილთა შესახებ არსებული ვერსიები. ელვის *პრესლი* დიდხანს მიიჩნეოდა, რომ არ იყო გარდაცვლილი და სხვადასხვა თეორიები ვრცელდებოდა იმის შესახებ, თუ როგორ იყიდა ბილეთი და დატოვა სიკვდილის წინ ქალაქი, რომ მისი კუბო იმაზე მეტს იწონიდა ვიდრე მისი სხეულის წონის შესაბამისობა იქნებოდა, რომ ის იყო ფიზიკურად ავად და შეზღუდული შესაძლებლობის გამოვლენა არ სურდა, როგორც ვარსკვლავს ეს დააკნინებდა და ამდენად გაუჩინარდა. აღნიშნულის შესაბამისი თეორიები ვრცელდებოდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით. პრეზიდენტების მკვლელობა ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი მოვლენები კონსპირაციული თეორიების აღზევებისთვის. ამერიკაში აბრაამ ლინკოლნის მკვლელობიდან კენედის მკვლელობით გაგრძელებული, მნიშვნელოვანი თეორიები ვრცელდებოდა, რომლებიც ეხებოდა მთელ მსოფლიოს. აღნიშნულ თემათა სიუჟეტები მსგავსია გმირების *გაღვთიშვილების* ფოლკლორული მოტივების. ამ მხრივ ის მითისთვის

დამახასიათებელ სასიცოცხლო მნიშვნელობას ავლენს. გმირებმა უნდა კვებონ კაცობრიობა კულტურული მეხსიერებით. მათი სიკვდილი კი შეუძლებელია.

კონსპირაციები, რომლებიც ვრცელდება აზარტული თამაშების მოყვარულთა სასაუბრო გვერდებზე, როგორებიცაა თამაში გაყიდულია, ცუდი ხელით მომცა, თამაშებს გვაგებინებენ ან პირიქით. კონსპირაციული თეორიები კაზინოებთან დაკავშირებით ვრცლად განიხილა რიჩარდ *როპერმა* და ამერიკის მაგალითზე წარმოადგინა საინტერესო დასკვნები შემდეგი კონსპირაციების ირგვლივ:

„კაზინოებში არ არის საათები და დილერები არ ატარებენ მაჯის საათებს _ სიმართლეც და სიცრუეც.

კაზინოებს არა აქვთ ფანჯრები _ უმეტესად სიმართლეა. კაზინოებში უშვებენ ჟანგბადს, რომ მეტი ენერგია და სიფხიზლე გქონდეთ _ სიცრუეა.

თუ სათამაშო ავტომატს უყურებთ და ის „ცივად“ თამაშობს, დაელოდეთ სანამ მოთამაშე დანებდება და მერე ეგრევე გააგრძელეთ და გამარჯვება თქვენია _ სიცრუეა.

მადლობა კამერებს ჭერზე რომ არის დამაგრებული, კაზინოს შეუძლია გადაწყვიტოს ვინ იქნება შემდეგი მოგებული _ სიცრუეა.

რაც ხდება ვეგასში ის რჩება ვეგასში _ სიცრუეა. რაც ვეგასში ხდება ის თქვენმა საკრედიტო ბარათმაც იცის“ (Richard Roeper 2008, გვ. 88-90).

ბოლო დროის ყველაზე გავრცელებული კონსპირაციული თეორიებია მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის შესახებ სხვადასხვა კონსპირაციული თეორია. სანდრა რულოვსის მონაწილეობა ადამიანის ხეულით ვაჭრობის საეჭვო საქმიანობაში. ძალიან გავრცელებულია კახი კალაძის ირგვლივ თეორიები, იმდენად რამდენადაც ის არ იყო პოლიტიკური ფიგურა, როდესაც შემოვიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში. როგორც ხდება ხოლმე ასეთ დროს, მით უმეტეს როცა ეს ადამიანი ამავე დროს მდიდარია.

მსოფლიოში ყველა ქვეყანა იცნობს თეორიებს ებრაელთა შესახებ. ებრაელებთან დაკავშირებული ზოგადი კონსპირაციაა, რომ ისინი არიან მთელ მსოფლიოში და აპირებენ მსოფლიო მონოპოლიების ხელში ჩაგდებას. ამ იდეას ხელს უწყობდა ჰიტლერის მოძრაობა ებრაელთა წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის დროს.

თითქმის ყველა ქვეყანას ჰყავდა ებრაელები და არც საქართველო იყო გამონაკლისი. სამეგრელოში მათ იმავე სახელით მოიხსენიებდნენ, რითაც ბიბლიაში: „ურია“ რაც ებრაელს ნიშნავდა და ხშირად ურწმუნოსთან და ამავე დროს სიმდიდრესთან ასოცირდებოდა. ხშირად ხდება ხაზგასმა გაშვილებული პირების განსაკუთრებული შესაძლებლობების დროს, თითქოს ისინი წარმოშობით ებრაელები არიან და გაუშვილებია კონკრეტულ ოჯახს, ებრაული გენი კი ქმნის დოვლათს, სიმდიდრეს.

ყოფითი დეტალების ფარგლებში გავრცელებული კონკრეტული კონსპირაციული თეორიები დაკავშირებული „666“ ანუ სამი ექვსიანის სიმბოლოსთან. აღნიშნული კომბინაციით გამოსახული პირადობის მოწმობებისა და ეტიკეტების ძებნა სხვადასხვა პროდუქციაზე. ამის მსგავსია შეთქმულებები პაროლებსა და კოდების შესახებ. არც ისე დიდი ხნის წინ, ერთიანი ეროვნული გამოცდების დროს აბიტურიენტის ანონიმურობის უზრუნველსაყოფად შემოღებული ინდივიდუალური შტრიხკოდების გარშემო შიშები, თითქოს აღნიშნული შტრიხკოდებით ხდება აბიტურიენტთა კოდირება, რაც მასონური მოძრაობის ნაწილია. მსგავსი შიშები მიემართებოდა პირადობის მოწმობის საკითხებს. უმეტეს შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ეს მოწმობები წარმოადგენს ადამიანების თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ იარაღს და მათგან თავის დაცვაა აუცილებელი. საქართველოში დიდხანს განიხილებოდა კანონი ჩიპიანი პირადობის მოწმობის შესახებ და საბოლოოდ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პირადობის მოწმობის (ჩიპიანი თუ მის გარეშე) ნებაყოფლობითი გაცემის შესახებ.

საკმაოდ აქტუალურია კორონა ვირუსის ირგვლივ გავრცელებული კონსპირაციული თეორიები. სხვადასხვა ეპოქაში ვირუსებთან დაკავშირებული თეორიები ყოველთვის იყო საზოგადოების ვნებათაღელვის საგანი. რამდენიმე ათეული წლის წინ გავრცელებული მოსაზრება, რომ შიდსის ვირუსი ადამიანს მაიმუნისგან გადაედო, კორონა ვირუსის ღამურებისგან მომდინარეობის იდეას ჰგავს. პანდემიის პერიოდში კორონა ვირუსის მომდინარეობის, გავრცელების მიზეზების, ვაქცინაციების შესახებ ხალხში გავრცელებული „ჭორები“ და არაერთი უშუალოდ ფაქტზე დაფუძნებული, მედია საშუალებების მიერ გავრცელებული მოსაზრება, ხშირად გადაიქცევა ანეკდოტებისა და ჭორების საფუძვლად. ხშირ შემთხვევაში სამედიცინო სფეროსა და ხელისუფლების წარმომადგენლების გაურკვევლობა უბიძგებს ადამიანებს არაფორმალური ინფორმაციის გავრცელებისკენ.

მსგავსი მოსაზრებების გავრცელების სივრცე სოციალური ქსელებია, რომლებიც თავისუფალი გამოხატვის სივრცეა და ადამიანებს აძლევს საშუალებას შეუზღუდავად გადმოსცენ ნაფიქრი და ნააზრევი.

კონსპირაციულ თეორიებს ქართულად უმეტესად შეთქმულების თეორიებს უწოდებდნენ. დღეს ყველაზე აქტუალურ თემას წარმოადგენს „კოვიდ-19 -თან დაკავშირებული კონსპირაციული თეორიები". იმდენად რამდენადაც ვირუსთან დაკავშირებით სამეცნიერო აზრი ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, განსაკუთრებით პანდემიის პირველი ეტაპისთვის, თავი იჩინა არა ერთმა კონსპირაციულმა თეორიამ მის გარშემო. 2020 წლის 17 სექტემბერს სპეციალური გადაცემა მიუძღვნა სახელმწიფო ტელევიზიამ და საკმაოდ მასშტაბურად განიხილა კორონა ვირუსი და კონსპირაციის თეორიები[2] . გადაცემაში ფართოდ განიხილეს, ჭორი, შიში, განათლების ნაკლებობა, მტკიცებულებების არ ქონა, სტრესის გამოვლინება, თავდაცვითი რეაქცია როგორც მიზეზები სხვადასხვა კონსპირაციული თეორიების ანუ შეთქმულების თეორიების საფუძვლები. გადაცემაში მოწვეული იყვნენ ფსიქოლოგები. განიხილეს სოციუმის დამოკიდებულების თავისებურებები მსგავსი ტიპის ინფორმაციებისადმი. დაიჯერებს თუ არა ამ ტიპის ინფორმაციებს ვინმე, დამოკიდებულია მიმღების შინაგან ბუნებაზე. მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის საშუალებად მიიჩნევა აგრესია, შფოთვა, მაინც მხოლოდ ამით არ შეიძლება აიხსნას ის, რაც სჭირს უმრავლესობას. ცხადია, რომ საბოლოო დასკვნად ითქვა განათლების, ინტელექტის დეფიციტი. სოციალური ქსელები დასახელდა მიზეზად, როგორ შეიძლება მანიპულირება შედარებით დაბალი ინტელექტის ადამიანზე, რომელიც არ არის გარკვეული სხვადასხვა ბიოლოგიურ წიაღსვლებში. მსგავსი ადამიანი შიშის გამო ხშირად იჯერებს

---

[2] გადაცემის სრულად ნახვა შესაძლებელია ლინკზე https://www.facebook.com/1stchannel/videos/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93-19-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%AB%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%AA%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94/318684192532189/

აბსურდს. ადამიანებს ან სჯერათ, ან ეშინიათ და ამიტომ იჯერებენ, არის კიდევ სხვა კატეგორია, ორგანიზებული პროპაგანდის სახით, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებისა და სახელმწიფოს დასუსტებას. ექიმის მიმართ უნდობლობა, ვაქცინის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება შეიძლება იყოს პოლიტიკური ჯგუფების დაინტერესება, საზოგადოებაში ქაოსისა და არეულობის შეტანით შედეგის მიღწევა. საქართველოში, მით უმეტეს, ეს პროცესები დაემთხვა საარჩევნო პერიოდს, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს კონსპირაციული თეორიების გავრცელებას მათივე ნაირსახეობით. რაც მეტი დაინფიცირდება, მით ნაკლები იქნება არჩევნებზე მისვლის საშუალება. პირბადე არ გაიკეთო, ეპიდემია გავრცელდება და იხეირებს გარკვეული ჯგუფი, მათ შორის ხელისუფლებაც. განსაკუთრებით დაზარებული ადამიანების ინტერესებიცაა ნიჰილიზმი ვირუსისადმი. ვიღაცას ბიზნესი წაუხდა, ვიღაცას საქმეები გაუფუჭდა და მის ინტერესებშია რომ ხმამაღლა თქვას, რომ არ არსებობს კორონა ვირუსი.

ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში დაცულია ცნობა პანდემიის პირობებში მოსახლეობის საოცარი დამოკიდებულების შესახებ. შავი ჭირის დროს (მე-14 ან მე-15 საუკუნე) ანატორის ქვეყანაში[3], სოფელმა თავი მოიკლა, რომ სხვები გადაერჩინათ. ხევსურეთში, სოფელ ანატორში ჩაიკეტა ხალხი და ფაქტობრივად თავი მოიკლეს, სხვათა კეთილდღეობისთვის, ამ შეგნების ქვეყანაში გასაკვირიც კია კოვიდ-19-ის დროს მსგავსი დამოკიდებულება საკითხისადმი. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს რამდენად შესაძლებელია საზოგადოებაზე გავლენების მოხდენა და დრო მხოლოდ განსხვავებული სივრცეა კონკრეტული საკითხისთვის. პანდემიის პირობებში ძალიან ადვილი გახდა კონსპირაციული თეორიების დაუჯერებელი გავრცელება. სოციალურ ქსელში გავრცელდა საინტერესო პოსტი სარკაზმი, *ფეიკ* პროპაგანდის გარშემო, რომ „თერმომეტრით დაჩიპვა უფრო მეტი ფანტასტიკაა, ვიდრე *ლებრონ* ჯეიმსის ქართულ ბანკში შემოსვლა“. ეს ხუმრობაც კი მიიღო ადამიანების ნაწილმა რეალობად. დასახელდა რამდენიმე თეორია: თერმომეტრის გამოყენება შლის მეხსიერებას.

კორონა ვირუსის პანდემიასთან ერთად სოციალურ ქსელში აქტიურად ჩაერთო ვირუსთან ბრძოლისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით

[3] ანატორი (ნასოფლარი) გეოგრაფიული არეალი, ანატორის მთები, ხევსურეთი

პროპაგანდაში ბატონი გიორგი ფხაკაძე, გაეროს გენერალური მდივნის მრჩეველი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტი. რაც უფრო აქტიური იყო მისი კამპანია, მით მეტი კონსპირაციული თეორია იქმნებოდა მის წინააღმდეგ. 2021 წლის 12 იანვარს, „იმედის დღის“ ეთერში იყო სიუჟეტი[4], რომელიც მიეძღვნა, ბატონი გიორგის გულსაბნევის გარშემო ყალბ ინფორმაციას, რომლის ავტორმაც გიორგი ფხაკაძის ფოტო ატვირთა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დირექტორთან და ბილ გეიტსთან ერთად და აქცენტი მათ ერთნაირ გულსაბნევზე გააკეთა და მიუთითა, რომ ეს ნიშანი გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზანს წარმოადგენს, რომელშიც მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაზეა საუბარი. მეტი დამაჯერებლობისთვის ყალბი ინფორმაციის ავტორი წყაროს ბმულს დაურთავს, თუმცა ის სინამდვილეში გაეროს ოფიციალური დოკუმენტი არ არის, როგორც ამას იუწყება მედია წარმომადგენელი გადაცემის მსვლელობისას. გადაცემის სტუმარმა, ბატონმა გიორგი ფხაკაძემ, გასცა პასუხები კითხვებს, თუ რას ნიშნავს ეს გულსაბნევი, ემბლემა და რა არის ძირითადი მისია და დანიშნულება იმ ორგანიზაციის, რომელსაც ის ემსახურება. მან განაცხადა, რომ ამ გულსაბნევს ატარებს ათი ადამიანი როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტი და მათი ძირითადი მიზანია მსოფლიოს 2030 წლამდე განვითარების თვალსაზრისით მისცენ რჩევები გაეროს, რომ შემცირდეს სიღარიბე და ჯანდაცვა გახდეს ხელმისაწვდომი ყველასთვის.

რით შეიძლება აიხსნას კონსპირაციული თეორიების არსებობა და ასე გავრცელება კორონა ვირუსის პირობებში? ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი საზოგადოებრივი ინსტიტუციებისადმი ნდობის დაკარგვაა. რა ქმნის უნიკალურ საზოგადოებრივ წესრიგს, ღირებულებების თაყვანისცემის წინაპირობად რა მოიაზრება? რა თქმა უნდა ნდობაზე დაფუძნებული კომუნიკაციები. ინტელექტუალურ მონაპოვართან ერთად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რწმენა და ნდობა, როგორც სოციუმის ფორმირების აუცილებელი პირობა. იქ, სადაც ნდობის დეფიციტია, ყოველთვის არის მოსალოდნელი რყევა, ფსიქოლოგიური წონასწორობის რღვევა, რაც ხდება სხვადასხვა კონსპირაციული თეორიების საფუძველი.

[4] https://www.facebook.com/watch/?v=406689157282943

კითხვა თუ რამდენად არიან მდგრადი, გამძლე სხვადასხვა კონსპირაციები დროსა და სივრცეში? კონკრეტული მაგალითები სხვადასხვა დაავადების შემთხვევაში მოწმობენ იმას, რომ კონსპირაციები დროში არ არიან მდგრადი და ადვილად მიეცემიან დავიწყებას. შიდსის ვირუსის შესახებ ინფორმაცია მისი ლეტალობის, გავრცელების არეალისა და საშიშროებების შესახებ, ფაქტობრივად არ აშფოთებს დღევანდელ მოსახლეობას მაშინ, როდესაც მისი გაჩენის დღიდან დღემდე ის განუკურნებელ დაავადებად რჩება და თავის დროზე მისი გაჩენის შესახებ ვრცელდებოდა კონსპირაციები „კომიკურიდან დაწყებული უცნაური ამბებით დასრულებული, თითქოს ის CIA[5] -ს ლაბორატორიიდან გაპარული მომაკვდინებელი ვირუსია, უფლისგან სასჯელია ჰომოსექსუალებისა და ნარკომანების დასასჯელად და სხვა“ (Michael Newton 2006, 5), დღეს ფაქტობრივად არ წარმოადგენს განსჯის საგანს.

განსაკუთრებით საინტერესო მოვლენაა სხვადასხვა კონსპირაციის დამკვიდრება ენაში. მათ შორისაა *„გესტაფო“*[6], მეგრულში დამკვიდრებული ტერმინი მკაცრი დისციპლინის ადამიანის ეპითეტად. ამის მსგავსია „ჩეკა“ როგორც ეპითეტი იმ ადამიანის, რომელსაც ვერაფერს გამოაპარებ. ჩეკა *გეპეუ*ლ*ების* (GPU) აღმნიშვნელი სიტყვა იყო, რომელიც მოგვიანებით იწოდებოდა NKVD სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტი. სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმის დროს აღმოცენებული კონსპირაციები მხოლოდ სოციალური ჯგუფების მახასიათებელი არ იყო, ის ახასიათებდა თვითონ პოლიტიკურ დაჯგუფებებსაც. ჩეკა, KGB სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტი სწორედ კონსპირაციების, სხვადასხვა შეთქმულებების შიშით ქმნიდა რეჟიმს, ამ რეჟიმის დამხობის შიშით კლავდა და გადაასახლებდა ათასობით ადამიანს. საშიშროებას მათთვის დასავლური სახელმწიფოები წარმოადგენდა. ნებისმიერი მცდელობა დასავლეთთან ურთიერთობისა, ადამიანებს უდიდესი საფრთხის წინაშე აყენებდა.

ნებისმიერი კონსპირაციული თეორიის მნიშვნელოვანი საკითხი მისი წარმოშობის დეტალებია. ისტორია, რომელიც მისი წარმოშობის საფუძველი გახდა. სწორედ აქედან გამომდინარე განიხილება თვითონ ფაქტი კონკრეტული სიუჟეტის არსებობის და ასევე უფრო

---

[5] Central Intelligence Agency - სააგენტო, რომლის მიზანია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას დაეხმაროს უსაფრთხოების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში.

[6] ეს არის აბრევიატურა პოლიციის საიდუმლო ორგანიზაციის გერმანიაში, რომელიც შეიქმნა 1933 წელს მას შემდეგ რაც ადოლფ ჰიტლერის ნაცისტურმა ორგანიზაციამ აიღო კონტროლი გერმანიაზე.

ღრმა საფუძველი კონსპირაციული თეორიების შესახებ. ის, რომ ესა თუ ის ისტორიული მოვლენა ხდება ამა თუ იმ კონსპირაციული თეორიის საფუძველი მას უფრო ლეგენდის ჟანრთან აახლოებს, მაგრამ ის, რომ კოლექტივის გონება ყოველთვის არის მიდრეკილი სხვადასხვა საეჭვო თემების რწმენისკენ, მას ფოლკლორთან უფრო აკავშირებს ვიდრე ფსიქოლოგიასთან, ანთროპოლოგიასთან, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებთან და ისტორიასთან. ფაქტია, რომ ადამიანები მუდმივად არიან მიდრეკილნი მოუძებნონ ახსნა დრამატულ მოვლენებს და ნაკლებად განიხილავენ მოვლენის რეალურ მიზეზებსა და საფუძვლებს. დრამატულ მოვლენად აიხსნებოდა 1952 წელს დაწყებული პროპაგანდა სიგარეტის მოწევასა და ფილტვის კიბოს გავრცელების რისკებთან დაკავშირებით, მაგრამ ის, რომ სიგარეტი რეალურად აზიანებს ფილტვებს, ცხადია. თუ ხშირ შემთხვევაში, კონსპირაციები გარკვეული ჯგუფების ინტერესებია და ერთობლივი პროპაგანდის ნაწილია, ერთობლივი პროპაგანდაა, როცა რამდენიმე ადამიანი, მეგობართა წრე, იღებს ერთობლივ გადაწყვეტილებას შეწყვიტონ მოწევა. ამდენად, მსგავსი შეთქმულებები ხშირად პოზიტიური გავლენის მქონედაც ითვლება.

კვლევამ დაგვანახა ტენდენცია, რაც უფრო მრავალფეროვანია ქვეყნის ფარგლებში კონსპირაციები, კონსპირაციული თეორიები, მით უფრო ნათელი მაგალითი გვაქვს იმის, თუ როგორ პირობებში უწევდა ერს ცხოვრება და როგორი იყო მისი სულიერი თუ ფსიქოლოგიური წონასწორობა და რა ტიპის გარემოში ახერხებდა ქართული საზოგადოება საღი, ჯანსაღი და რაციონალური აზრისა და უმნიშვნელოვანესი კულტურის შენებასა და განვითარებას. თუ მსოფლიო კონსპირაციული თეორიების მკვლევრები სხვადასხვა პოლიტიკურ რეჟიმებს, სოციალურ თუ პოლიტიკურ პროცესებს, ცხოვრების პირობებსა და სხვა ფაქტორებს ასახელებენ განსხვავებული ვეყნების მოსახლეობის კონსპირაციული თეორიების მიზეზებად, ქართული რეალობა უკვე გვიჩვენებს რა ტიპის რთული პროცესების პარალელურად იქმნებოდა ქართული აზრი და მიმდინარეობდა საზოგადოებრივი პროცესები, მით უმეტეს ისეთი მცირე ერისთვის როგორიც საქართველოა. ხომ ფაქტია, რომ ნეგატიური ემოცია, შიშისა და გაურკვევლობის განცდა, სხვადასხვა სოციალური თუ პოლიტიკური კრიზისების ეპოქები, სხვადასხვა ბუნებრივი თუ პანდემიური კატასტროფები, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურების გარდაცვალებები, გაურკვეველი მომავალი, გაუცხოების შეგრძნება, სწრაფად ცვალებადი

საზოგადოებრივი ინსტიტუციები, ტექნოლოგიური წინსვლა, უნდობლობა როგორც მმართველი ორგანიზაციების, ისევე წამყვანი საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიმართ არის ის უმნიშვნელოვანესი პროცესები, რომლებიც იწვევს კონსპირაციულ თეორიებს.

ლიტერატურა:

Cailin O'Connor and James Owen Weatherall 2019, The Misinformation Age, How False Beliefs Spread, Yale University Press, New Haven & London, 2019.

Jan-Willem Van Prooijen 2018, The Psychology of Conspiracy Theories, Routledge, Taylor & Francis Group, London and New York. 2018

Jovan Byford 2011, Conspiracy Theories, A critical Introduction by Jovan Byford, Palgrave Macmillan, 2011

Uscinski 2020, Conspiracy Theories A Primer by Joseph E. Uscinski, 2020

Christopher Hodapp, Alice Von Kannon 2008, Conspiracy Theories & Secret Societies for Dummies by Christopher Hodapp and Alice Von Kannon, Wiley, 2008.

Conspiracy Theories in American History 2003, an Encyclopedia , volume 1, A-L, Edited by Peter Knight, 2003.

Michael Newton 2006, The Encyclopedia of Conspiracies and Conspiracy Theories,

Richard Roeper 2008, Debunked! Conspiracy Theories, Urban Legends, and Evil Plots of the 21st Century, Chicago Review Press 2008.

Timothy Tangerlini 2020, conspiracy in the time of corona: automatic detection of emerging COVID-19 conspiracy theories in social media and the news, article in Journal of Computational Social Sicnece, November 2020.

The Philosophy of Conspiracy Theories, Matthew R. X. Dentith, Published Palgrave Macmillan 2014

The Social Psychology of Gullibility 2019, Fake News, Conspiracy Theories, and Irrational Belief, Edited by Joseph P. Forgas and Roy F. Baumeister, published by Routledge, Published by Cambridge University Press 2019